

მაიკა ჯიქია
Marika Jikia

ონიმთა ინფორმაციულობის მცირე მაგალითი
One Episode of Onim's Informativeness

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Jabakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: *ებრაული გვარები, თურქული სიტყვის ფორმა, ქართული კომპონენტი.*

Key words: *Jewish surnames, Turkish word form, Georgian component.*

ყოველი ენის ლექსიკურ ფონდში ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს მნიშვნელოვანი და მეტად თავისებური ადგილი უკავიათ. არცთუ იშვიათად ისტორიულ დოკუმენტში მიგნებული ანთროპონიმითა თუ ტოპონიმით შესაძლებელი ხდება ეთნოსის რომელიმე ისტორიული ეპიზოდის შესწავლა, იმის დადგენა, თუ ვინ ცხოვრობდა ამა თუ იმ ადგილას მრავალი წლის წინ.

ცნობილია, რომ ვოლგისპირელ ბულგარებს არ გააჩნდათ წერილობითი ძეგლები და მეცნიერებაში არსებული წარმოდგენა ამ ენის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ სლავურსა და უნგრულ ქრონიკებში დაცულ ონომასტიკონს ემყარება. ან გადაშენებული თურქული ტომის – უთურგურების – დასახელება უნდა იყოს შემორჩენილი ქართულ ანთროპონიმში უთურგ-ი. პირის სახელი უთურგა დევს ფშავსა და ხევში გავრცელებული პატრონიმების – უთურგაიძე, უთურგაული – ფუძეში. აუსლაუტში /რ/→/ლ/ ქართულ ნიადაგზეა. ამ ტომის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მწირი ცნობებია. ცნობილია, რომ ძველ ყუბანისპირელ ბულგართა ერთ-ერთი განშტოება, კუთურგურების ტომი, მოსახლეობდა დნეპრისა და დონის დაბლობ ადგილებში. მათი მონათესავე უთურგურები ცხოვრობდნენ ყუბანის განაპირას. კუთურგურები ხშირად ესხმოდნენ თავს თრაქიას. ამით შეწუხებული ბიზანტიელები ძღვენითა და საჩუქრით აქეზებდნენ უთურგურებს კუთურგურების წინააღმდეგ [გუმილიოვი, 1967: 115].

ანთროპონიმთა უმეტესობამ ჩვენამდე დიდი ხნის გარდასულ ეპოქათაგან მოაღწია და თითქმის ყოველი სახელი შეიცავს ინფორმაციას თავისი წარმოშობის დროსა და ადგილზე. საკუთარი სახელის გენეზისითა და ფუნქციურ-ინფორმაციული სპეციფიკით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ონომასტიკა ენათმეცნიერების ცალკე დარგად გამოიყო, რაც იშვიათად ხდება ლინგვისტური სტატუსის მქონე ლოგიკური კლასის შესწავლისას. ხშირ შემთხვევაში ანთროპონიმები გვერდაუვლეელი მასალაა სიტყვათა სემანტიკური ცვალებადობის, გრამატიკული აგებულებისა და ეტიმოლოგიური სათავეების დასადგენად.

არა მხოლოდ ადამიანთა, არამედ საერთოდ სახელდებაში ყოველთვის აირეკლება საზოგადოების სოციალური ცხოვრება და კულტურა. ყოველი ერის ეპიკური ჟანრისათვის (თუკი, რა თქმა უნდა, ამ ერს ლიტერატურის ეს ჟანრი აღმოაჩნდება) დამახასიათებელია საკუთარ სახელთა წარმოჩენა. უპირველესად უნდა მოვიხმოთ მრავალგზისი ბიბლიისეული ჩამონათვალი [პირველი ნემტთა, 1-9; მათე 1, 1-16; ლუკა 3,23-38 და სხვ.]. საკმარისია გავიხსენოთ „ილიადას“ მეორე წიგნში ხომალდთა ჩამოთვლა, „ვეფხისტყაოსნის“ თავი – წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა. ისლანდიურ ლიტერატურაში არსებობდა განსაკუთრებული ჟანრი – თულა, წყობილ-ლექსური ნიმუში, რომელიც მხოლოდ საკუთარ სახელთაგან შედგებოდა. თურქულენოვან ხალხთათვის „დედე ქორქუთის წიგნი“ ამ რიგში ჩადგება.

სესხებისათვის ანთროპონიმია ყოველთვის ღია იყო და ამიტომაც ყველა ენაში ეროვნული საკუთარი სახელების გვერდით აღმოჩნდა უცხოური საკუთარი სახელები. გამონაკლისი არც ქართველური ენებია. უცხოური სახელების დამკვიდრება უკავშირდება რელიგიას, პოლიტიკურ მდგომარეობას, ლიტერატურულ გავლენას, ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობებს, ხალ-

ბთა კონტაქტებს და სხვ. ამიტომ გვხვდება ქართველურ არეალში ასე უხვად ებრაულ-ბერძნულ-რომაული სახელები, რომელთა ძირითადი ფონდის გავრცელება ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებით არის განპირობებული. ისტორიულ ურთიერთობათა შედეგია სპარსული, არაბული, თურქული სახელები. შედარებით გვიანდელია – XIX-XX საუკუნეებისა – რუსული და ევროპული სახელების ფენა. ამ დროს ძირითად კრიტერიუმად რჩება, პირველ რიგში, ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობა და ტერიტორიული სიახლოვე. ამ თვალსაზრისით, თურქულ ანთროპონიმთა შემოსვლის წყაროდ მიგვაჩნია, ძირითადად, ოსმალური (თურქული), აზერბაიჯანული და ჩრდილოეთ კავკასიის თურქული ენები: ყარაჩაულ-ბალყარული და ყუმუხური. საერთოდ, ქართულში დამკვიდრებული თურქული წარმომავლობის საკუთარ სახელთა უმრავლესობა შემოსულია ენათა თურქული ოჯახის ოლუზურსა (ოსმალური, თურქული, აზერბაიჯანული) და ყივჩაღურ (ყივჩაღური, ყარაჩაული, ყუმუხური) ჯგუფებში შემავალ ენათაგან. ამ თვალსაზრისით მოძიებული საკუთარი სახელები ზოგადად თურქიზმებად გვაქვს კვალიფიცირებული. ქართულენოვანი წერილობითი ძეგლების მიხედვით ანატოლიურ-თურქული სახელები გვხვდება XII საუკუნიდან, განსაკუთრებით კი ვრცელდება XVI საუკუნიდან მოყოლებული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აღმოსავლური წარმომავლობის საკუთარი სახელები გამოვლენილი და შესწავლილია სხვადასხვა თაობის ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა მიერ.

ადამიანის ამა თუ იმ ნიშან-თვისების მიხედვით სახელდება ანთროპონიმიზაციის ადრეული ეტაპია. ფიზიკური აღნაგობის, თმის შეფერილობის, ჰაბიტუალური ნაკლისა თუ ღირსების აღმნიშვნელი არაერთი სიტყვა ქცეულა მეტსახელად, შემდეგ – სახელად და ამ გზით მოხვედრილა გვარის ფუძეში. ეს ნომინაცია ახასიათებს ყველა ანთროპონიმულ სისტემას გამონაკლისის გარეშე. შდრ.: ქართული *გრძელი(შვილი)*, ივრითისეული *Admoni* „წითური“, თურქული *Kara* „შავი“, რუსული *Белый* „თეთრი“, გერმანული *Klein* „პატარა“ და სხვ.

წერილში წარმოვაჩინთ გვარის ფუძეში ადამიანის კონკრეტული ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სიტყვაფორმების შემცველი სამი გვარის – **ბურნუსუზაშვილი** [მაისურაძე 1990: 50], **პარმახსიზაშვილი** [გაგულაშვილი 1993: 139; მაისურაძე 1979:131], **პარლაგაშვილი** [მაისურაძე 1979: 50; გაგულაშვილი 1993: 65] – ლინგვისტურ კვლევას ასეთ ჭრილში: სამივე გვარის საგვაროვნო ფორმანტი – */-შვილი/* – ქართულია; ასევე ქართულია მანთროპონიმებული სუფიქსი – */ა/*. ანუ ქართულია ამ სამივე გვარის – აშვილი – სემანტიკა.

სამივე გვარის ფუძეში თურქული სიტყვაფორმებია: თურქ. **burun** „ცხვირი“ + */-suz/* (თურქ. უქონლობის აფიქსი); **burunsuz** „უცხვირო“; *+/-ა/* (ქართ. მანთროპონიმებული აფიქსი)*+/-შვილი/* (ქართ. საგვაროვნო ფორმანტი); თურქ. **parmak** „თითი“ + */-suz/* (თურქ. უქონლობის აფიქსი) **parmaksız** „უთითო“ *+/-ა/* (ქართ. მანთროპონიმებული აფიქსი)*+/-შვილი/* (ქართ. საგვაროვნო ფორმანტი); თურქ. **parlag** „პრიალა“ *+/-ა/* (ქართ. მანთროპონიმებული აფიქსი)*+/-შვილი/* (ქართ. საგვაროვნო ფორმანტი);

სამივე გვარი ახალციხელი ებრაელების პატრონიმიკონიდან არის. რატომ აღმოჩნდა სწორედ ახალციხელ ებრაელთა გვარების ფუძეში თურქული სიტყვები? მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს დაუმეზობლდა ახალი თურქული წარმონაქმნი – ოსმალეთი. 1479 წლიდან ჭანეთი და აჭარა არაერთგზის ილაშქრება ოსმალების მიერ. სამცხის დასავლეთ ნაწილშიც ოსმალოებია. 1578 წელს კი ახალციხის საფაშოს გამოეყო და ცალკე პოლიტიკურ ერთეულად შეიქმნა ჩილდირის ვილაიეთი. ისლამი ამ რაიონში სწრაფად გავრცელდა. 1828-1829 რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი და სამცხე გამოვიდა ოსმალთა ზედამხედველობის ზონიდან.

ამ გვარებისეული ორი ეთნოსის მასალა – თურქული და ქართული – მესამე – ებრაული – ეთნოსის მანიფესტანტია.

ნასესხობათა სრული ადაპტაცია თანდათან მოხდა და დღესდღეობით ქართული საგვაროვნო ფორმანტებით გაფორმებული თურქული ძირები ქართველური ონომასტიკის ორგანულ ნაწილად აღიქმება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ი. **გაგულაშვილი** 1993. ქართული გვარები (ძირითადი ლექსიკური ფონდი), საკუთარი სახელები. ქუთაისი: „სტამბა № 5“.
- ი. **მაისურაძე** 1979. ქართული გვარსახელები: სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია. თბილისი: თსუ გამომც.
- ი. 1990. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები). თბილისი: „მეცნიერება“.
- ლ. **ბ. გუმელიოვი** 1967. Лев Николаевич Гумилёв, Древние Тюрки. Москва: „Наука.“

In the lexical fund of every language, the proper names and surnames of people occupy an important and very special place. Not infrequently, with an anthroponym-patronym or toponym found in a historical document, it becomes possible to study some historical episode of ethnos, to determine who lived in this or that place many years ago. Most of the anthroponyms have come down to us from ages long past. Almost every name contains information about the time and place of its origin. The fact that onomastics has been separated into a separate field of linguistics is due to the genesis and functional-informational specificity of proper names, which rarely happens when studying a logical class with linguistic status. In many cases, anthroponyms are indispensable material for determining the semantic variation, grammatical structure and etymological origins of words.

The anthroponyms has always been open to borrowings, and that's why foreign proper names appeared next to national proper names in all languages. Kartvelian languages are no exception. The establishment of foreign names is related to religion, political situation, literary influence, economic-cultural relations, people's contacts, etc. That is why there are so many Jewish-Greek-Roman names in the Kartvelian area, the spread of which is due to the establishment of the Christian religion. Persian, Arabic,

Turkic names are the result of historical relations. The layer of European names is relatively late - XIX-XX centuries.

Proper names of oriental origin have been identified and studied by Georgian orientologists of different generations.

It is the early stage of anthroponymization, which is named according to one or another characteristic of a person. Many words denoting physical structure, hair color, habitual defect or dignity became a nickname, then a name and in this way got into the root of the surname. This nomination characterizes all anthroponymic systems without exception. Cf.: Georgian /grzeli/ 'long', Hebrew Admoni 'red', Turkish Kara 'black', Russian Белый 'white', German Klein 'small', etc.

In the report, we present the linguistic research of three surnames – **Burnusuzashvili, Parmaksizashvili, Parlagashvili** – in the following way:

The surname formant of all three family names - /-shvili/ - is Georgian; All three surnames are from the patronymic of Jews from Akhaltsikhe; At the root of all three surnames are Turkish word forms:

Turk. burun 'nose' + /-suz/ (affix of not having); burunsuz 'noseless'; /burnusuz/ +/-a/ (Georgian anthroponymic affix) + /-švili/ (Georgian surname formant);

Turk. parmak 'finger'+ /-siz/ (Turk. affix of not having); parmaksız 'fingerless'; /p'armaksiz /+/-a/ (Georgian anthroponymic affix)+/- švili/ (Georgian surname formant);

Turk. parlag 'glossy'; /p'arlag +/-a/ (Georgian anthroponymizing affix)+ /-švili/ (Georgian surname formant);

The material of two ethnoses belonging to these surnames – Turkish and Georgian – is a manifestation of the third – Jewish – ethnos.